თქვი: არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, და დაგიმოწმებ მისით განკითხვის დღეს

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: უთხრა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მის ბიძას: «თქვი: არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, და დაგიმოწმებ მისით განკითხვის დღეს», ბიძამ უპასუხა: "თუ არა ყურაიშისგან დასაცინად, რომლებიც იტყოდნენ, რომ მე შიშის გამო ვთქვი ეს, მეც გავახარებდი შენს თვალს". შემდეგ ალლაჰმა გარდმოავლინა: {ჭეშმარიტად, შენ ვერ დაადგენ სწორ გზას იმას, ვინც გიყვარს. არამედ ალლაჰი ადგენს სწორ გზაზე, ვისაც ინებებს} [ალ-ყასას: 56]

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის ბიძას, აბუ ტაალიბს სიკვდილის წინ სთხოვა, ეთქვა "არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა", რათა ამის საფუძველზე განკითხვის დღეს შუამდგომლობა გაეწია მისთვის და ისლამით დაემოწმებინა. თუმცა, აბუ ტალიბმა უარი თქვა შაჰადის წარმოთქმაზე, რადგან შიშობდა, რომ ყურაიშელები დასცინებდნენ და იტყოდნენ, რომ ის მხოლოდ სიკვდილის შიშისა და სისუსტის გამო მიიღებდა ისლამს. მან უთხრა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "ის რომ არა, შენი თვალის გახარების მიზნით შაჰადას ვიტყოდი და შენს ნებას შევასრულებდი, რათა გაგიხარდეს". ალლაჰმა ამ დროს გარდმოავლინა აიათი, რომელიც მიუთითებს, რომ მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ ფლობს ხალხის დადგენას ისლამში. ეს მხოლოდ ალლაჰის ხელშია, რადგან მხოლოდ ალლაჰი ირჩევს, ვის უწინამძღვროს სწორ გზაზე. ხოლო მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საქმე არის მოუწოდოს, ასწავლოს და მოუხმოს სწორ გზაზე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65069